

სახელმძღვანელო დოკუმენტი

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და
მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად
გამონახტვის თავისუფლების შეზღუდვასთან
დაკავშირებული საჭმეების განხილვისას

2020

სახელმძღვანელო დოკუმენტი

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და
მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად
გამონათვის თავისუფლების შეზღუდვასთან
დაკავშირებული საჩმეების განხილვისას

2020



დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გუდუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

დოკუმენტის გამოცემაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

საერთაშორისო კონსულტანტი ექსპერტები:

დირჯ ვორჰოფი და ინგერ ჰოედ-რასმუსენი

www.gdi.ge

სარჩევი

შესავალი	6
გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო	8
აზრის ქონის უფლება	8
ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლება	9
ინფორმაციისა და იდეების მიღების უფლება	10
შურაცხმყოფელი გამოხატვა	10
გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები	13
კანონით განსაზღვრულობის საკითხი	14
ღეგითი მუხრი მიზნის არსებობის საკითხი	16
შეზღუდვის აუცილებლობისა და გამოყენებული საშუალების მისაღწევ მიზანთან პროპორციულობის საკითხი	17
სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი	19
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი ...	19
აღმამართლის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტი	21
დასკვნა	23
რეკომენდაციები	24

შესავალი

გამოხატვის თავისუფლება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, აღიარებული და დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კონვენციით. გარდა იმისა, რომ იგი განუყოფელია ინდივიდის ღირსებისაგან, ასევე წარმოადგენს აუცილებელ ფუნდამენტს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ერთ-ერთ საბაზისო წინაპირობას მისი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზებისათვის.¹ სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა პატივი სცეს, დაიცვას და უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლებით სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა ყველა ინდივიდისათვის. ამ უფლებით სარგებლობა თანაბრად უწყობს ხელს, როგორც ინდივიდის თვითგანვითარებასა და თვითგამოხატვას, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროცესებში მის მონაწილეობას. გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური უფლებაა, იგი თანაბრად მიემართება ყველა ადამიანს და მისი დაცვა ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველგან, თითოეული ინდივიდისათვის.

„გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ამრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხვედრებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“² მაშასადამე, ეს უფლება ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, წარმართონ საჯარო დისკუსია სხვადასხვა, მათ შორის, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხზე, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ღიად და საჯაროდ, გეპირად, წერილობით თუ პერფორმანსის სახით, ერთმანეთს თავისუფლად გაუზიარონ, როგორც საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღები და მოსაწონი, ისე მწვავე, კრიტიკული და არაპოპულარული მოსაზრებებიც.

როდესაც საქმე სახელმწიფოს ვეთიდღეობასა და წინსვდას შეეხება, საზოგადოების კრიტიკა, ბუნებრივია, რომ ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების შტოების წარმომადგენლებისკენაა მიმართული, რომელთაც მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვანი მეგავდენა მოახდინონ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

1 Lingens v. Austria, 8 ივლისი 1986; Sener v. Turkey, 18 ივლისი 2000; Thoma v. Luxembourg, 29 ივნისი 2001; Maronek v. Slovakia, 19 აპრილი 2001; Dichand and Others v. Austria, 26 მაისი 2002; Satakunnan Markkinapörssi and Satamedia v. Finland 27 ივნისი 2017; Penttinen v. Finland 20 ოქტომბერი 2015; Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan 13 თებერვალი, 2020.

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/468, 11 აპრილი, 2012. II-26.

მრავალი წელია საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკის გამოხატვის ობიექტს სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი, რაოდენ მწვავე და აღმაშფოთებელიც უნდა იყოს იგი, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლეებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის მიმართ აქვთ მაღალი თმენის ვადებულება, მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ამგვარი კრიტიკა მიუღებელია. მათი აზრით, იგი „*სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის*“ მიზნისთვის ხელისშემშლელია.³

გამოხატვის თავისუფლების, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა უფლების, შეზღუდვისას მოსამართლეთა მხრიდან განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვაა საჭირო, რათა არ მოხდეს მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების თვითნებური და არაპროპორციული შეზღუდვა. ამისათვის კი, აუცილებელია, მოსამართლეები, ერთი მხრივ, აცნობიერებდნენ და პატივს სცემდნენ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას დემოკრატიულ სახელმწიფოში, მეორე მხრივ, კი ჰქონდეთ სათანადო ცოდნა ამ უფლების შეზღუდვის საერთაშორისო თუ ეროვნული სტანდარტების შესახებ.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანი მოსამართლეთათვის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნაა იმ ძირითადი პრინციპების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ დონეზეა დადგენილი „*სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის*“ საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებთან მიმართებით. დოკუმენტი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. სახელმძღვანელოს პირველ თავში განხილულია გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო (აზრის ქონის უფლება, ინფორმაციისა და იდეების გავრცელებისა და მიღების უფლება, შეურაცხმყოფელი გამოხატვა). მეორე თავში წარმოდგენილია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები (უფლების შეზღუდვის ტესტი). მესამე და მეოთხე თავებში უფრო დეტალურადაა განხილული „სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის“ საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი. სახელმძღვანელოს ბოლოს კი წარმოდგენილია დასკვნა და მოსამართლეების მიმართ შესაბამისი რეკომენდაციები.

3 აღნიშნული მიდგომა გამოიკვეთა 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზისას.

გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო

როგორც უკვე აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლება, საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე, არაერთი სამართლებრივი დოკუმენტით არის დაცული. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისათვის, მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციაზე გავამახვილებთ ყურადღებას.⁴

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით:

„1. ამრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა ამრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია“.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილია:

„1. ყველას აქვს ამრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხედისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა დაცვზირება“.

როგორც აღინიშნული ჩანანერებიდან ჩანს, გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში შედის:

ამრის ქონის უფლება

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, *„ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ა) ამრის აბსოლუტურ თავისუფლებას“*⁵ ამავე კანონის მიხედვით, ამრი აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული,⁶ რაც კანონით გათვადინწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას გულისხმობს.

4 იხ. ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი.

5 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

6 იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

ამრის ქონის თავისუფლება უპირველესი წინაპირობაა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სხვა თავისუფლებებით სარგებლობისათვის. *„ამ უფლების ნებისმიერი სახით შეზღუდვა დემოკრატიული საზოგადოების პუნებასთან შეუსაბამოდ ჩაითვლება“.*⁷ სახელმწიფო არ უნდა შეეცადოს თავისი მოქალაქეების ინტელექტუალური თავისუფლების, მეტიც, სახელმწიფოს მხოლოდ ცადმხრივი ინფორმაციის გავრცელებამ, ამრის ქონას, შესაძლოა, სერიოზული და მიუღებელი დაბრკოლებები შეუქმნას. ეს უფლება მოიცავს როგორც ინდივიდის უფლებას, მისთვის სასურვედ დროს, ნებისმიერი მიზეზით თავისუფლად შეიცვალოს ამრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით,⁸ ასევე, ნეგატიურ ასპექტს - არ იქნას იძულებული, გაამხილოს საკუთარი მოსაზრებები.⁹

ინფორმაციისა და იდეების გამოხატვისა და გავრცელების უფლება

ინფორმაციისა და იდეების გამოხატვისა და გავრცელების უფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების ნაწილში. პოლიტიკურ და საზოგადოების ინტერესის სფეროში არსებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და იდეების გამოხატვისა და გავრცელების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ Lingens-ის საქმეში, სადაც აღნიშნა, რომ „არა მხოლოდ მედიის ამოცანაა ამგვარი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება, არამედ საზოგადოებასაც გააჩნია მათი მიღების უფლება“.¹⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით *„დაცულია ადამიანის შეხედულებები, მისი რწმენა, ინფორმაცია, ასევე ის საშუალებები, რომლებიც მათი გამოთქმისა და გავრცელებისათვის არის შერჩეული, მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და*

7 Human rights handbooks, No. 2. A guide to the implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights გვ. 8.

8 EU Human Rights Guidelines on Freedom of Expression Online and Offline გვ.3.

9 Vogt v. Germany, 26 სექტემბერი 1995.

10 Lingens v. Austria, 8 ივლისი 1986; Sener v. Turkey, 18 ივლისი 2000; Thoma v. Luxembourg, 29 ივნისი 2001; Maronek v. Slovakia, 19 აპრილი 2001; Dichand and Others v. Austria, 26 მაისი 2002, და სხვა.

აზრის გავრცელების სხვა საშუალებები“.¹¹ მაშასადამე, აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას აძლევს ინდივიდს, თავად გადაწყვიტოს, თუ რა ფორმით, გამომხატვის რომელი საშუალებით სურს საკუთარი შეხედულების/აზრის დაფიქსირება და ვინაიდან ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, იგი შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით დადგენილი საფუძვლების არსებობისას.

ინფორმაციისა და ილქების მიღების უფლება

გამომხატვის თავისუფლებით დაცული ინფორმაციის მოძიებისა და მიღების უფლება დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ნახადისება, ადეკვატურ ინფორმაციაზე წვდომის გარეშე, შეუძლებელია.¹² უფლების ეს ნაწილი ასევე გულისხმობს ინდივიდის შესაძლებლობას, გამოიკვლიოს, თუ რა მიზნით, და ვინ ამუშავებს მის შესახებ არსებულ ინფორმაციას.

შეურაცხყოფელი გამომხატვა

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განხილვის საგანია შეურაცხყოფელი გამომხატვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ რეღეგანტურობას იძენს იმის გათვადისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მიხედვით დასჯადი ქმედება - **სასამართლოს უპატივცემუღება**, ამავე მუხლის ჩანაწერის მიხედვით, სამართალწარმოების მონაწილის (366.1 მუხლი) ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის, **შეურაცხყოფაში** გამოიხატება. თუმცა, კანონმდებლობა არ განმარტავს, თუ რა ტიპის ქცევას/გამომხატვას გულისხმობს „შეურაცხყოფაში“. შესაბამისად, როდესაც შეურაცხყოფელი გამომხატვა სასამართლოს/ მოსამართლეს მიემართება, კანონმდებლობა იძღევა საკანონმდებლო ტერმინის - „შეურაცხყოფის“ სუბიექტური განმარტების საფუძვეღზე გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, პრობღემურსა და საკამათოს ხღის დაკისრებუღი სანქციის პროკიდუღობის საკითხსაც.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წღის 18 აპრიღის №2/482,483,487,502, გადაწყვეტიღება საქმეღმე, „მოქღაღქეთა პოღიტიკური გაერთიანება „მოღრაღბა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქღაღქეთა პოღიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტიღ“, საქართველოს მოქღაღქეღები -ზღიად ძიღიღური და ჯაბა კუკავა, საქართველოს ახაღგამრღ იურისტთა ასოციაციღ, მოქღაღქეღები დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახაღლო დამცვეღი საქართველოს პარღამენტის წინააღმღეღ“. II-3.

12 Dirk Voorhoof, Investigative journalism, access to information, protection of sources and whistle-blowers. 24 March 2017,

შეურაცხმყოფელ გამოხატვაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში გააკეთა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით მსჯელობისას შემდგომშიც არაერთხელ დაუმონუმებია:

„გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი განუყოფელი ფუნდამენტია [დემოკრატიული] საზოგადოებისათვის, ძირითადი პირობაა მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის ... [და] ის მიემართება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციასა“ და „იდეებს“, რომლებიც მოწონებული და მიღებულია როგორც არაძალადობრივი ან ინდიფერენტული, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოსათვის, ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისათვის. ასეთია პლურალიზმის მოთხოვნა, ტოლერანტულობა და გახსნილი გონება, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს“.¹³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც:

„თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყვედასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილისთვის, უმრავლესობის ამრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, ამრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკამმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის სამრდლობისთვის შეუცვლელი წყაროა... თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია, განუმეორებელია, განსხვავებულია და სწორედ ეს ქმნის შანსს მრავალფეროვნებისა და, მაშასადამე, პროგრესისთვის. ამიტომ შეუძლებელია

13 ECtHR: Handyside v. the United Kingdom 7 დეკემბერი 1976; Sunday Times v. the United Kingdom 26 აპრილი 1979; Lingens v. Austria 8 ივლისი 1986; Oberschlick v. Austria 23 მაისი 1991; Morice v. France (GC) 23 აპრილი 2015 and Terentyiv v. Russia 28 აგვისტო 2018;

იმ მოსაზრებების თუ გამონათქვამების შემოფარგვლა და ამომწურავად იდენტიფიცირება, ტერმინოლოგიის განსაზღვრა, რომელიც მთლიანად საზოგადოებისთვის, ყველა ადამიანისთვის მისაღებია. მით უფრო დაუძლეველი ამოცანაა ასეთ მოსაზრებებზე ხედოვნურად შეთანხმება ან უპირობოდ გაზიარების დავადებულება, შედეგად კი, ყველაფერი დანარჩენის კანონის მიღმა გამოცხადება. [...] ამიტომ სახელმწიფოს არ გააჩნია უფლებამოსილება, დაეყოს აზრები „მართებულ“ თუ „არამართებულ“, „სასურველ თუ „არასასურველ“ და სხვა სახის კატეგორიებად. თუ ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა, რასაც ფიქრობს ან თუ მას აიძულებენ თქვას ის, რასაც არ ეთანხმება, ამით შეურაცხყოფენ ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველს – მის ღირსებას“.¹⁴

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება მათ შორის ცილისწამებას, პირისპირ შეურაცხყოფას და მუქარას.¹⁵ მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში „შეურაცხყოფილი გამოხატვაც“ ექცევა. ხოლო პირისპირ შეურაცხყოფის შემლუფდა საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზანს ემსახურება.

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.

15 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის აბსოლუტური უფლება, რაც გულისხმობს, რომ „იგი შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კონსტიტუციაში მოცემული დეგრიტიმური მიზნების მისაღწევად, მიზნის მიღწევის თანაზომიერი საშუალებების გამოყენებით“.¹⁶ შეზღუდვის ე.წ. სამწვეროვანი ტესტის შემადგენელი ელემენტები იდენტურია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებულია ის წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. კერძოდ:

„ამ უფლებათა შემლუფვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი (1) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან (2) ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, (3) სხვათა უფლებების დასაცავად, (4) კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან (5) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

ანალოგიურად, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ: *„ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვადლებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უზენსრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიღუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.*

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები – აღექსანდრე ბარამიძე, ღაშა ტულუში, ვახტანგ ხმადაძე და ვახტანგ მაისიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდვის დეგრატიული მიზნების ნაწილში, ევროპული კონვენციის მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალი უფრო ვრცელია და, საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, გვხვდება ისეთი საჯარო ინტერესები, როგორებიცაა, მაგალითად, ჯანმრთელობისა ან/და მორალის დაცვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მინიმალურ სტანდარტზე შედარებით უფრო მაღალი დაცვის გარანტიას იძლევა. ასევე, სასამართლოსთან მიმართებით, კონვენცია დეგრატიული მიზნად ასახელებს „ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას“, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა“ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დეგრატიული მიზნად ითვლება.

მიგვაჩნია, რომ ტერმინებში არსებული ეს განსხვავება არ უნდა დარჩეს მოსამართლეების ყურადღების მიღმა, ვინაიდან ავტორიტეტი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დამოუკიდებლობა. ავტორიტეტის დაცვა, მათ შორის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გზით არის შესაძლებელი.

გემოხსენებელი ჩანაწერებიდან გამომდინარე, იმისათვის, რათა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კონვენციას, იგი ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს სამივე წინაპირობას, რომლის ფარგლებშიც მოწმდება: (1) შეზღუდვა განსაზღვრულია თუ არა კანონით; (2) შეზღუდვა ემსახურება თუ არა დეგრატიული მიზნის მიღწევას; (3) შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში. აღნიშნულ ტესტს ე.წ. სამწვეროვან ტესტსაც უწოდებენ, რომელიც პირველად ევროპულმა სასამართლომ Handyside V. The United Kingdom საქმეში გამოიყენა.

კანონით განსაზღვრულობის საკითხი

გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ საჯარო განხილვის შედეგად მიღებული კანონის მოთხოვნას. ხსენებული წინაპირობა ასევე მიემართება თავად კანონის ხარისხსაც. ევროპული სასამართლოს სტანდარტის მიხედვით (რომელსაც, ასევე იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო), კანონი უნდა იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი და უნდა იძლეოდეს მკაფიო განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ინდივიდის თავისუფლება.

უფრო დეტალურად, კანონით განსაზღვრულობის შემოწმებისას ფასდება ორი ასპექტი - კანონის ფორმალური და ხარისხობრივი მახასიათებლები. „კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონით მოწესრიგების ფორმალური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც (1) საკითხი უშუალოდ [საქართველოს პარლამენტის მიერ] მოწესრიგებულია კანონით; ან (2) კანონმდებელმა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება კანონით გადაამისამართა სხვა კომპეტენტურ ორგანოზე“ და საკითხი ამ ორგანომ მოაწესრიგა.

რაც შეეხება **ხარისხობრივი** მოთხოვნის შეფასებას, ამ დროს მხედველობაში მიიღება ის, თუ რამდენად განჭვრეტადია ნორმა, რომლის საფუძველზეც დგინდება გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, ანუ რამდენად შეუძლია პირს, გაიაზროს ნორმის შინაარსი, მისდამი დაუმორჩილებლობის შედეგები და წარმართოს თავისი ქმედებები ნორმის შესაბამისად. „გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვინაობა მიზანმიმართული კანონით“. ¹⁷ „კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, წინასწარ განჭვრეტადი და მუსტად განსაზღვრული. აგრეთვე უნდა შეიცავდეს სხვა გარანტიებს თვითნებობის რისკისგან დასაცავად“. ¹⁸

Sunday Times v. the United Kingdom საქმეში დადგენილი სტანდარტით, რომელსაც ყოველი მომდევნო საქმის გადაწყვეტის პროცესში უბრუნდება ევროპული სასამართლო, კანონით განსაზღვრულობა აერთიანებს ორ მოთხოვნას: „პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოებების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში; მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში, განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს“. ¹⁹

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422, გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II -7.

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები — ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

19 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 26 აპრილის №6538/74, გადაწყვეტილება საქმეზე, Sunday Times v. the United Kingdom (№1), 49-ე პარაგრაფი.

ლეგიტიმური მიზნის არსებობის საკითხი

შემლუდვის დეგითიმურობის შეფასების ტესტის მეორე საფეხურზე მომდებარეა ის, თუ რამდენად არსებობს დეგითიმური მიზანი, რომლის მიღწევასაც ისახავს მიზნად უფლების შემლუდვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ხელისუფლება უფლებამოსილია, დაანესოს ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური შემლუდვები გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაზე, თუმცა, ასეთი შემლუდვა (რეგულირება) დეგითიმური მიზნის მიღწევისკენ უნდა იყოს მიმართული და ამ მიზნის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს“.²⁰ მსგავსად კანონით განსაზღვრულობის ეტაპის შემოწმებისა, დეგითიმური მიზნების განსაზღვრის ნაწილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა იდენტურია. „გამოხატვის თავისუფლების შემლუდვის შემოწმების ტესტის მეორე ნაწილის მიხედვით, შემლუდვა უნდა ემსახურებოდეს დეგითიმური მიზნის ან ინტერესის დაცვას. როგორც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირებიდან, ასევე, სასამართლოს პრაქტიკიდან, ნათელია, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ინტერესთა ჩამონათვალი ამომწურავია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერცერთი სხვა საფუძველი ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად“.²¹

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-53.

21 Mendel T., A Guide to the Interpretation and Meaning of Article 10 of the European Convention on Human Rights გვ. 38.

შეზღუდვის აუსტილებლობისა და გამოყენებული საშუალების მისაღწევ მიზანთან პროპორციულობის საკითხი

შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების ტესტის ბოლო, მესამე საფეხურზე, მოწმდება შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და შეზღუდვისთვის შერჩეული საშუალების პროპორციულობა ლეგიტიმურ მიზანთან. „...კანონმდებელმა, პირველ რიგში, უნდა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნა, რომ მის მიერ შერჩეული რეგულაციით ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყოს, ანუ ის (რეგულაცია) რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ლეგიტიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე. უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგისი, მისაღები საშუალება უნდა იყოს. უნდა არსებობდეს უშუალო და რეალური კავშირი მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებას შორის. ამ დროს მხედველობაში მიიღება ის გარემოებაც, თუ რა მასშტაბისა და ინტენსივობის საგარეულო მიზნის თავიდან აცილებას მოითხოვს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, დაცვა. უფლებაში ჩარევის კონკრეტული ფორმა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ასეთი საფრთხეები თავიდან იქნეს აცილებული და კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნები - დაცული. მას გარდაუვდად, ნამდვილად უნდა შეუძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირად მიაღწევა მიზანი როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებს“.²²

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „შეზღუდა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ მიზანს“.²³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდვის აუცილებლობასა და პროპორციულობას. „აუცილებლობის შეფასებისას, სასამართლო ხედვლავანებლობს რამდენიმე პრინციპით, რომელიც სათავეს ადრეული გადაწყვეტილებებიდან იღებს და დღესაც,

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

უმეტეს შემთხვევაში, გვხვდება: სასამართლომ აღნიშნა, რომ ზედსართავი „*აუცილებელი*“, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, არ ნიშნავს იმავს, რასაც „*შეუსვლელი*“, არც გამოხატვის ისეთი მოქნილობით გამოირჩევა, როგორც „*დასაშვები*“, „*ჩვეულებრივი*“, „*გამოსადეგი*“, „*რაციონალური*“ ან „*სასურველი*“, არამედ აღნიშნული ტერმინი გამოხატავს „*მკაცრ სამოგადოებრივ საჭიროებას*“. თავის მხრივ, იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მიემართებოდა გამოყენებული ღონისძიება „*მკაცრ სამოგადოებრივ საჭიროებას*“, სასამართლოს განმარტებული აქვს, რომ: კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო უნდა განსაზღვროს, ჩარევის გასამართლებლად სახედმწიფოს მიერ წარმოდგენილი მიზნები იყო თუ არა „*რელევანტური და საფუძვლიანი*“ და, ასევე, გამოყენებული ღონისძიება იყო თუ არა „*დასახული დეგტიმური მიზნის მისაღწევად პროპორციული*“... ამგვარი მიდგომით, სასამართლო უნდა დაადასტუროს, რომ ეროვნულმა ორგანოებმა, რომლებიც მოქმედებდნენ რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გამოიყენეს იმგვარი სტანდარტები, რომლებიც კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებულ პრინციპებს შეესაბამება.²⁴

24 Cumpănă and Mazăre v. Romania (GC) 7 დეკემბერი 2004, § 90. ასევე Mendel T., A Guide to the Interpretation and Meaning of Article 10 of the European Convention on Human Rights 83. 39.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი

დასული სამართლებრივი სიკეთეები და მათი დაბალანსება
როგორც უკვე აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლება, შესაძლოა, შეიზღუდოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, აუცილებელია ამ ორ სამართლებრივ სიკეთეს შორის სამართლიანი ბედანსის დაცვა, რაც, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „მთავარი, რაზეც დემოკრატიული ქვეყნები ამახვილებენ ყურადღებას, არის ის, რომ სახელმწიფოში ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა და დაცვა, როგორებიცაა სასამართლოს ავტორიტეტი და ქმედითი მართლმსაჯულება, არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეღახვის ხარჯზე. „*საქართველოში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ადეკვატური დაცვა ხელისუფლების კონსტიტუციური ვადებულებაა*“.²⁵

სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომელიც, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „*მის პროფესიულ საქმიანობაში ან/და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასაც გულისხმობს*“²⁶,

თუმცა, სასამართლო საგანგებოდ მიუთითებს, რომ „*ამავე დროს, მოსამართლის, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზრუნვა არ გულისხმობს მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვას. [...] სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი*

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პუნქტი 2.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაზე საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგური და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II – 66.

*დამოკიდებულებების გამოხატვა, მათ შორის, სასამართლოს სიახლოვეს შეკრებების (მანიფესტაციების) გზით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებათა“.*²⁷ „მოსამართლის [...] საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული“.²⁸ აღნიშნულ მიდგომას ამყარებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით დაკულია კრიტიკული აზრი, მათ შორის, ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი, შეიძლება, ზედმეტად მკაცრად ან არადეკვატურად აღიქვამდეს.²⁹

საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვას შორის სათანადო ბალანსის დაცვის ერთგვარ ფორმულას გვთავაზობს: „*საკუთარი აზრის გამოხატვის, შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას უშლის ხელს*“.³⁰

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, გამართლად და ეფექტიანად წარმართვას მოიაზრებს, თავის მხრივ, სისხლის სამართლის წესით სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამომხატველი ქცევის კრიმინალიზების მოტივად და მიზნად. იგი აღნიშნავს, რომ „*სასამართლოსადმი უპატივცემულობა არ არის სამართალდარღვევა, მიმართული მოსამართლის პირადი ღირსების წინააღმდეგ, არამედ ხელს უშლის მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას. უფლებამოსილება, შეაფასო ასეთი ქმედება და შეუფარდო სანქცია, განიხილება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილი და მოსამართლის ავტორიტეტის თანამდევი ფაქტორი. აღნიშნულით უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ეფექტიანი და ჯეროვანი განხორციელება*“.³¹

27 იქვე, II-68.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაზე საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-67.

29 იქვე, II-106.

30 იქვე, II-60.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393.397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტი

დასაშვები კრიტიკის ფარგლები

საზოგადოების მხრიდან კრიტიკის ობიექტი, შესაძლოა, იყოს კონკრეტული მოსამართლე, გადანწყვეტილება ან მთლიანად სასამართლო სისტემა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, „*იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტურ ინსტიტუტს, ისინი, შესაძლოა, გახდნენ პირადი კრიტიკის ობიექტები დასაშვებ ფარგლებში და ეს შესაძლოა განხორციელდეს არა მხოლოდ თეორიული და ზოგადი ქცევით. საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, ისინი, შესაძლოა, დაექვემდებარონ დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო საზღვრებს, ვიდრე რიგითი მოქალაქეები*“.³² უნდა აღინიშნოს, რომ ნეგატიური შინაარსის მატარებელი განცხადებების გაკეთება, რომლებიც კონკრეტულ მოსამართლეს/მოსამართლეებს ან სამართალწარმოების პროცესში ჩართულ პირებს შეიძლება შეეხებოდეს, იმთავითვე არ გულისხმობს დასაშვები კრიტიკის ფარგლების დარღვევას, თუ კი განცხადების გაკეთება საზოგადოების საჯარო ინტერესშია. ასეთ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც მიიჩნევს, რომ კონსტრუქციული კრიტიკა დადებითად აისახება თავად [მართლმსაჯულების] სისტემაზე.³³

დასაშვები კრიტიკის ფარგლების განსაზღვრისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის მიზნობრიობას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. იგი აღნიშნავს, რომ „*თუ რაიმე ფორმით გამოხატვის ერთდერთი მიზანი სასამართლოს, ან ამ სასამართლოს მოსამართლის შეურაცხყოფაა, მაშინ სათანადო სანქცია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნება დარღვევა*“.³⁴

32 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადანწყვეტილება საქმეზე, *Morice v. France* პარ. 131.

33 იქვე, პარ. 167.

34 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 აგვისტოს გადანწყვეტილება საქმეზე, *Skalka v. Poland*, პარ. 34.

**გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას გამოყენებული
სანქციის პროპორციულობა და „მსუსხავი ეფექტი“**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დეგრატიული მიზნის მისაღწევად სათანადო და შესაფერისი, ყველაზე ნაკლებად მზლუდავი საშუალება გამოიყენებოდეს, რათა სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ზომებმა არ იქონიონ „მსუსხავი ეფექტი“³⁵ საჯარო ინტერესის მატარებელი საკითხის ირგვლივ განვითარებულ დებატზე. სასამართლოს შეფასებით, „მსუსხავი ეფექტი“ გვაქვს მაშინ, როდესაც პირი „თვითცენზურას“³⁶ მიმართავს არაპროპორციული სასჯელის³⁷ ან მის წინააღმდეგ ზედმეტად ფართე შინაარსის მატარებელი კანონების საფუძველზე გამოძიების დაწყების შიშით.³⁸ აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს „დანესებული სანქციის ბუნებასა და სიმკაცრეს“.³⁹

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის არსებობის აუცილებლობისა და მნიშვნელობის მიუხედავად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დეგრატიული მიზანი თავისუფლების აღკვეთაზე ნაკლებად მზლუდავი ისეთი სასჯელების გამოყენებითაც მიიღწევა, როგორებიცაა, მაგალითად, გაფრთხილება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა. სწორედ აღნიშნული იკითხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც, რომელთა უმრავლესობაშიც ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა სწორედ მოსამართლის მიერ შერჩეული სანქციის პროპორციულობის ნაწილია დადგენილი.

35 ECtHR: Kabanov v. Russia, 3 თებერვალი 2011; Tavares de Almeida Fernandes and Almeida Fernandes v. Portugal, 17 იანვარი 2017;

36 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Vajnai v. Hungary, პარ. 54.

37 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Cumpănă and Mazăre v. Romania [GC], პარ. 114.

38 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Altuğ Taner Akçam v. Turkey, პარ. 68.

39 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Cumpănă and Mazăre v. Romania [GC], პარ. 11.

დასკვნა

გამოხატვის თავისუფლებით სრულყოფილი სარგებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა ინდივიდისათვის. ამიტომ, მოსამართლეები, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის განანტორები, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ ისეთი საქმეების განხილვას, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შემლუფვასთან არის დაკავშირებული. მართლმსაჯულების პრინციპის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირება, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის საშუალება, ნამდვილად წარმოადგენს დაცვის ღირს სიკეთეს. თუმცა, მისი დაცვა არ უნდა მოხდეს სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევის გზით. ამ ორ სამართლებრივ ინტერესს შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტისას, მოსამართლეებმა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელონ.

რეკომენდაციები

- › მაშინ, როდესაც, არ არსებობს განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობით მართლმსაჯულების პროცესის შეფერხების/დაბრკოლების ცხადი და მყისიერი საფრთხე, მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯისაგან, განსაკუთრებით, თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებისაგან, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისათვის, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთაზე ნაკლებად მზლუდავი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას მოსამართლეებმა მხოლოდ უკანასკნელ, ყველაზე რადიკალურ შემთხვევებში უნდა მიმართონ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის გამოყენებისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. ამგვარი შემთხვევები, შესაძლოა, დადგეს სასამართლო სხდომის დარბაზში ინვენტარის დაზიანებისას, განმეორებადი ხასიათის პირისპირ შეურაცხყოფისას პირის მხრიდან
- › გამოხატვის თავისუფლების, თუნდაც შეურაცხმყოფელი ფორმების, შემლუღვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტით
- › პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების ციტირებისას, მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა სრულად გაიაზრონ მათ წინაშე გადასაწყვეტ საქმესა და პრეცედენტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის მსგავსება. მხოლოდ ძირითად სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის შესახებ, ვერ დააკმაყოფილებს იმ სტანდარტს, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აწესებს ამ უფლების შემლუღვის შეფასების ნაწილში.

